აუტიზმის სპექტრის აშლილობა, როგორც სპეციფიკური სტრესორი ოჯახის ადაპტურ ფუნქციონირებაში : ორმაგი ABC-X მოდელი

ნინო შარია

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე კლინიკური ფსიქოლოგიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნის შესაბამისად

სამეცნიერო ხელმძღვანელი : ქეთევან მაყაშვილი

ფსიქოლოგიის დოქტორი, პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ნინო შარია

15.06.2022

აბსტრაქტი

აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვთა ოჯახები განიცდიან ხანგრძლივ სტრესს და დგანან სხვადასხვა გამოწვევის წინაშე. წინამდებარე კვლევა ეხება ასეთი ოჯახების ადაპტურ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული ფაქტორების კვლევას ორმაგი ABC-X მოდელის საფუძველზე, რომელიც შემუშავებულია ქრონიკულად დაავადებული ან შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა ოჯახების სტრესთან ადაპტაციის შესაფასებლად, სადაც A აღნიშნავს სტრესორს, B-რესურსებს, C- სიტუაციის აღქმას, BC-დაძლევას და X- ადაპტურ ფუნქციონირებას. აღნიშნულ კვლევაში A ფაქტორი ოპერაციონალიზდა, როგორც ბავშვის ქცევის სირთულეები, B ფაქტორი, როგოც აღქმული სოციალური მხარდჭერა, C-კოჰერენტულობის განცდა, BC-პრობლემის დაძლევის ორიენტაცია, X-ოჯახის ცხოვრების ხარისხი.

მიზანი: აღნიშნული კვლევის მიზანს წარმოადგენს იკვლიოს მიმართებები აუტიზმის სპექტრის აშლილობას, როგორც სტრესორს, ოჯახის რესურსებს, დაძლევის სტილს, სიტუაციის აღქმასა და ოჯახის ადაპტურ ფუნქციონირებას შორის.

მეთოდი: კვლევაში მონაწილეობდა 26-დან 52 წლამდე აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვის 72 მშობელი, 52 დედა და 20 მამა. კვლევის ჩასატარებლად გამოყენებულ იქნა სოციალური ქსელების სივრცე. მონაწილეები გამოიკითხნენ სტრუქტურიებული ონლაინ კითხვარით. შერჩევის ტიპად გამოყენებულ იქნა ხელმისაწვდომი შერჩევა.

შედეგები: აღქმული სოციალურ მხარდაჭერასა დადებით კავშირშია ოჯახის ცხოვრების ხარისხთან და პრობლემაზე ფოკუსირებულ დაძლევის სტილთან, კოჰერენტულობის განცდის მოტივაციური კომპონენტი, მნიშვნელოვნება დადებით კავშირშია ოჯახის ცხოვრების ხარისხთან და პრობლემაზე ფოკუსირებულ დაძლევის სტილთან, ბავშვის ქცევის სირთულეები უარყოფითადაა დაკავშირებული ოჯახის ცხოვრების ხარისხთან, თუმცა, არ წარმოადგენს მის იარყოფით პრედიქტორს. ოჯახის ცხოვრების ხარისხის

დადებით პრედიქტორებს აღქმული სოციალური მხრდაჭერა და დაძლევის პრობლემაზე ფოკუსირებული ორიენტაცია წარმოადგენენ.

დასკვნა: ის, თუ როგორ რეაგირებენ მშობლები ასა-ს ბავშვების აღზრდის გამოწვევებზე, როგორიცაა სოციალური მხარდაჭერის წვდომა, სიტუაციისადმი უფრო პოზიტიური დამოკიდებულება და გამოსადეგი სტრატეგიების გამოყენება, დიდ გავლენას ახდენს მათ კეთილდღეობასა და ადაპტურ ფუნქციონირებაზე. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვის პრობლემური ქცევა არ წარმოადგენს ოჯახის ადაპტური ფუნქციონირების ამხსნელ ფაქტორს. ამ უკანასკლნელის მაჩვენებელი დამოკიდებულია აღქმული სოციალური მხარდაჭერით კმაყოფილებაზე, სირთულეების გადაჭრის მკაფიო სურვილსა და ენერგიის ინვესტიციის მზაობაზე სტრესის დასაძლევად, დაძლევის პრობლემაზე ფოკუსირებული ორიენტაციის შემუშავებაზე, რომელიც, თავის მხრივ, დადებით კავშირშია აღქმულ სოციალურ მხარდაჭერასთან.

საკვანძო სიტყვები: ორმაგი ABC-X მოდელი, ბავშვის პრობლემური ქცევა, კოჰერენტულობის განცდა, პრობლემის დაძლევის ორიენტაცია, აღქმული სოციალური მხარდაჭერა, ოჯახის ადაპტური ფუნქციონირება.

Abstract

Families of children with autism spectrum disorder (ASD) experience long-term stress and face various challenges. This study is devoted to the factors associated with the adaptive functioning of such families. For this purpose, the double ABC-X model is employed. This model has been developed to assess the stress adaptation of families with chronically ill or disabled children. Here A is stress, B is resources, C is the perception of the situation, BC is coping and X is Adaptive functionality. These factors were operationalized respectively as the child's behavioral difficulties, perceived social support, problem orientation, sense of coherence, Family quality of Life.

Method: The study involved 72 parents, 52 mothers and 20 fathers of children with autism spectrum disorders aged 26 to 52 years. Social networking space was used to conduct the research. Participants were interviewed with a structured online questionnaire. The available sample was used as the sampling type.

Results: Perceived social support is positively associated with quality of family life and problem-based coping style, motivational component of sense of coherence, importance is positively correlated with quality of family life and problem-based coping style. Perceived social support and problem-solving orientation are positive predictors of family quality of life.

Conclusion: How parents respond to the challenges of raising children with ASD, such as accessing social support, being more positive about the situation, and using helpful strategies, has a big impact on their well-being and adaptive functioning. It is important that child's challenging behaviour is not a factor that explains the adaptive functioning of the family. The degree of family quality of life depends on satisfaction with perceived social support, a clear desire to solve difficulties and a willingness to invest energy in overcoming stress, developing a problem-oriented orientation towards overcoming difficulties, which, in turn, is positively associated with perceived social support.

Keywords: Double ABC-X model, Child's challenging behaviour, Sense of coherence, Problem solving orientation, Perceived social support, Adaptive family functioning.

მადლობა

უპირველეს ყოვლისა, ჩემს ხელმძღვანელს, რომლის პროფესიული მიდგომები ჩემთვის ინსპირაციისა და მოტივაციის წყაროა, მადლობას ვუხდი გვერდში დგომის, გაწეული შრომისა და ხელშეწყობისათვის.

ასევე, მადლობა მინდა გადავუხადო ბავშვის ადრეული განვითარების ცენტრის, ნეიროგანვითარების ცენტრის, ბავშვთა განვითარების ინსტიტუტის ქცევით თერაპევტებსა და სუპერვიზორებს, ჩემს თანაკურსელებსა და მეგობრებს რესპონდენტების მოძიებასა და კითხვარის გავრცელებაში გაწეული დახმარებისათვის.

ბოლოს, მადლობას ვუხდი რესპონდენტებს კვლევაში მონაწილეობის, გამოყოფილი დროისა და საკითხისადმი ინტერესისთვის.